მომხს: გ. ენუქიძე

<u>**პროექტი**</u>

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №

„-----“ მარტი 2021 წ.

ქ. თელავი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №26 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1. შეტანილ იქნეს ცვლილება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №26 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ (www.matsne.gov.ge, 03/09/2020, 010250020.35.163.016518).

1. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე თელავის მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარების უზრუნველყოფა, ბავშვთა დაცვის და მხარდაჭერის სოციალური მუშაკის ქსელის შექმნა და სამოქმედო უბნების განსაზღვრა.“.

2. თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სოციალურ საკითხთა განყოფილება უზრუნველყოფს:

ა) თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სოციალური მომსახურების ერთიანი სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიტიკის გატარების ხელშეწყობას;

ბ) სოციალურ საკითხთა სფეროში მუნიციპალური პროგრამების შემუშავებას და მათი განხორციელების ხელშეწყობა-ორგანიზებას;

გ) სოციალურ საკითხთა სფეროში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციიდან სტატისტიკური მონაცემების მიღება-დამუშავებას;

დ) სოციალური დაცვის პროგრამების ფარგლებში პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობას;

ე) მუნიციპალიტეტში მცხოვრები უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით წინადადების მომზადებას კომპეტენციის ფარგლებში და მათ რეგისტრაცია-აღრიცხვას;

ვ) რეკომენდაციების მომზადებას სოციალურად დაუცველ პირთა, აგრეთვე ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ დამატებითი სოციალური შეღავათების და დახმარებების შემოღების თაობაზე;

ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეგისტრაცია-აღრიცხვას და დახმარებას მათი საზოგადოებაში ინტეგრირებისათვის;

თ) მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე სოციალური მუშაობის ჩატარებას, რაც გულისხმობს:

თ.ა) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი პირების აქტიურ იდენტიფიცირებას, მათი საჭიროებების განსაზღვრასა და შეფასებას, პრობლემის იდენტიფიცირებას და შესაბამისი დარგობრივი დაწესებულებისთვის ინფორმაციის მიწოდებას;

თ.ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც აუცილებელია საფრთხის თავიდან აცილება, ბენეფიციართა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სოციალურ მომსახურებებში ჩართვას და ამის შესახებ შესაბამისი ორგანოსთვის დაუყოვნებლივ შეტყობინებას;

თ.გ) ოჯახში ძალადობის ფაქტის იდენტიფიცირებას და მასზე შესაბამის რეაგირებას;

თ.დ) ბენეფიციარებისათვის შესაბამისი სოციალური, სამედიცინო, შეღავათიანი მომსახურებების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებას და მათში ჩართვის ხელშეწყობას;

თ.ე) მიზნობრივი ჯგუფებისა და მათი ოჯახებისათვის შესაბამისი აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას და კონსულტაციის გაწევას;

თ.ვ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სოციალური მუშაობის ჩატარებას;

ი) სამსახურში შემოსულ განცხადებებსა და წერილებზე წინადადებებისა და პასუხების მომზადებას.

მუხლი 2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე**

განმარტებითი ბარათი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №26 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებული პროექტი ეხება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 31 აგვისტოს №26 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის საკითხს.

ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზეზს წარმოადგენს ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის ამოქმედება 2021 წლის 01 იანვრიდან, რომლის საფუძველზე მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ დელეგირებული უფლებამოსილებები სოციალური მუშაობის ჩატარების უზრუნველყოფის სფეროში.

ნორმატიულ აქტში ცვლილების შეტანის მიზანს წარმოადგენს ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის განსაზღვრა და ამ სტრუქტურული ერთეულის დებულების შესაბამისობაში მოყვანა ,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან, რათა მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური მუშაობის ყველა მოქალაქისათვის ხელმისაწვდომობა.

,,სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 56-ე მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს განახორციელებს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და ფუნქციურად მის შესრულებას უზრუნველყოფს ამავე სამსახურის სოციალურ საკითხთა განყოფილება.

პროექტის ავტორი და საკრებულოს სხდომაზე წარმდგენი გახლავთ თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის ხელმძღვანელი.